პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 6 ნოემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

წითელი არმიელი

253 (951) | 1 და 2 ჟარნული მსრ. დივ. ჯოლიგ-განებისფოვალდლიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ივანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. სტრ.

გაუმარჯოს წითელი არმიის ახალ ცვლას!

ახალწვეულთა მოსვლა წითელ ყაზარმაში უკვე დაიწყო. მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა, როგორც ერთი გაეშურა წითელი ჯარის რიგებისაკენ. აღფრთოვანებით, ხალისიანათ მოდიან ისინი წითელ ყაზარმაში.

მშრომელ ახალგაზრდობას უკვე საკმაო წარმოდგენა აქვს თუ რა არის წითელი ჯარი. მათ იციან, რომ წითელი არმია მუშების და გლეხების ინტერესების და თავისუფლების დამცველი არმიაა, რომ წითელი ყაზარმა ცოდნის და კულტურის წყაროა.

ამ დღეებში ჩვენ გავაცილეთ ძველი წითელ არმიელები, რომლებმაც პირნათლად მოიხადეს თავისი ვალდებულება საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. წასვლისას ძველებმა ანდერძად დაუტოვეს ახლებს, რათა ეს უკანასკნელნი გახდენ მათი ღირსეული შემკვიდრეები და უფრო მეტად [განამტკიცონ წითელი არმიის რიგები.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ახალი ცვლა მართლადაც ღირსეული შემკვიდრე დარჩება გრძელ ვადიან შვებულებაში წასულთა. ამის თავდებია ის ერთსულოვნობა, რომლის ნიშნის ქვეშ ჩატარდა წრევანდელი გაწვევა.

ახალგაზრდა მებრძოლნო! წითელი არმია მხურვალედ ესალმება თქვენს მოსვლას.

ის მზად არის აღზარდოს თქვენგან საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების შეუდრეკელი და გამოცდილი დამცველები.

ჯერი თქვენზეა.

მხნედ და ენერგიულად შეუდგეთ სამხედრო და პოლიტიკურ სწავლებას. განამტკიცეთ ფოლადისებური დისციპლინა. მთელი თქვენი ყურადღება, მთელი თქვენი ენერგია მოიახმარეთ წითელი არმიის განმტკიცებას.

ერთ წუთსაც ნუ დაიკარგებთ, რომ საბჭოთა კავშირი გარშემორტყმულია კაპიტალისტური სახელმწიფოებით, რომლებიც მზად არიან ყოველ ხელსაყრელ მომენტში თავს დაგვესხნენ და დაასამარონ ოქტომბრის რევოლიუციით მოპოვებული თავისუფლება.

დეე! მტერმა იცოდეს, რომ წითელი არმია მუდამ ფხიზლად სდგას მშრომელ ხალხის სადარაჯოზე, რომ თითეული მისი მებრძოლი არასდროს არ დაიხევს უკან არავითარი საფრთხის წინაშე.

ახალ წვეულებნო! მტკიცედ მოკიდეთ ხელი თქვენი მოვალეობის შესრულებას წითელ ჯარში. იყავით სამაგალითოთ და მუშების და გლეხებისათვის საამაყო მეომრები!

კაპიტალისტური საფრანგეთი პატარა სირიის წინააღმდეგ.

ამ რამოდენიმე ხნის წინად სირიაში იფეთქა აჯანყებამ საფრანგეთის იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ.

გაწამებულმა სირიელებმა ვერ აიტანეს უცხოელების ძალადობა და ადმინისტრაციის ბატონობის დროში.

პირველად იარაღით ხელში გამოვიდა დრუზების ტომი. მათ გამოსვლამ იმ თავითვე მოიხიბლა დიდი თანაგრძნობა სირიის დანარჩენ მოსახლეობაში, ვინაიდან განთავისუფლების წუურვილით შეპყრობილია მთელი ეს მხარე. დრუზების გამოსვლამ დიდათ ადელვა საფრანგეთის მტაცებლები. მათ გადასწყვიტეს გადამჭრელი ზომების მიღება იმათ წინააღმდეგ, ვინც იარაღს ხელი მოკიდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

საფრანგეთის ჯარები შეესივნენ სირიელების სოფლებს და ქალაქებს. ამას წინად მათ სიმინელი სოფლა აუტეხეს ზარბაზნებიდან ქალაქ დამასკს, სადაც 3.000 სირიელი ამოხოცეს. დღევანდელი დეპეშები გადმოგვცემენ, რომ ფრანგებმა კიდევ დაარბიეს რვა სოფელი.

აჯანყების ჩასაქრობად „კულტურულნი“ ფრანგები მიმართავენ ყოველგვარ საძაგლობას. არავითარი მკაცრი ღონისძიების წინაშე ისინი არ ჩერდებიან, ოღონდ დამარცხონ აჯანყებულები და კვლავ განამტკიცონ თავისი ბატონობა სირიაში.

მაგრამ საფრანგეთის მტაცებლებმა თავისი უმაგალითო მხეცობით და უმგვანო საქციელით სულ სხვა შედეგებს მიაღწიეს. სირიელები არამც თუ არ ყრიან იარაღს, პირიქით მათი ბრძოლის ენი და განთავისუფლების წყურვილი ერთი ორად გაიზარდა. აჯანყება არამც თუ არ ქრება, არამედ ეფეცა მთელ სირიას. ყოველ მხრიდან აჯანყებულთა ლეგიონებს ემატება ახალი ძალები.

პატარა ერი როგორც ერთი ადამიანი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გასამართავად უხეშ მტერთან.

აქ უნდა აღინიშნოს ის გამაცემლური როლი, რომელსაც თამაშობენ ამ უთანასწორო ბრძოლაში საფრანგეთის სოციალისტები. მათ პირიდან ერთი საპროტესტო კრინტიც არ დაძრულა საფრანგეთის ბურჟუაზიის ამ მორიგი მხეცობის წინააღმდეგ.

ან როგორ უნდა მოველოდეთ საფრანგეთის გამყიდველებისაგან რაიმე ასეთის მსგავს, როცა ეს ვაჭბატონები ხელს უწერენ მთავრობას კრედიტის გაღებაში ახალი ომების საწარმოებლად.

ცეცხლით და მახვილით უმასპინძლდება სიცხლიანი იმპერიალიზმი ერთ მუჭა სირიელებს.

ცხადია კაპიტალისტური ვეშაპი შესძლებს პატარა სირიის დამორჩილებას. მაგრამ ვაი მას. თუ დღეს მის წინააღმდეგ იბრძვის მარტო სირია და მაროკო, ხვალ და ზეგ აღსდგება მთელი დაჩაგრულთა სამეფო. ამხეიდრებული პროლეტარიატის და ჩამონავებულ ერების მთლიანი ფრონტი შესძლებს საფრანგეთის კაპიტალისტების ბატონობის დამხობას და განთავისებას.

ეს ახლო მომავლის საქმეა.

—ე.

ახალი რადიო-ამბები

საბჭოთა--პოლონეთის ურთიერთობა.

საბჭოთა ტელეგრაფის საგენტოს თანამშრომელთან საუბარში პოლონეთის საგანგებო რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში კენჩინსკიმ სსრკ-სა და პოლონეთის ურთიერთობის შესახებ განაცხადა:

„პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება უკვე შესდგა მეგობრულ თანამშრომლობის გზაზე. უეჭველია, რომ ჩიჩერინის მოსვლამ ვარშავაში საგრძნობლად დაჩქარა ჩვენი კეთილმეზობლური განწყობილების განმტკიცება“.

ეკონომიური ურთიერთობის შესახებ კენჩინსკიმ განაცხადა:

„პოლონეთი და საბჭოთა კავშირი მიიდგენ მეტად მნიშვნელოვან ეკონომიურ საკითხთან—სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომლის აუცილებლობა ცნობილ იქნა ვარშავაში ორივე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის წარმომადგენლების მიერ“.

სამოქალაქო ომი ჩინეთში
საომარი მოქმედება ჩინეთში.

მუკდენის ჯარები უტევენ ცზენსუსა და ანვეის. სუნჩან ფანის ჯარები უკან იხევენ.

მანჯურიის ოლქში ჩატარდა მობილიზაცია; მობილიზაცია დაიწყება აგრეთვე გირნის ოლქშიაც.

მუკდენის ჯარებს განზრახული აქვთ შანხაის ხელში ჩაგდება ზღვით. მტრულ მოქმედებას ჯერ განსაზღვრული ხასიათი აქვს, მაგრამ შიშობენ, რომ განხეთქილება მალე ფართე ხასიათს მიიღებს.

რაკოვსკი-ლოკარნოსა და ინგლის--საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

„მანჩესტერ გარდიენი“ ბეჭდავს ვრცელ საუბარს რაკოვსკისთან ლოკარნოსა და ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

ბრძანება
რევსამხსაბჭოსა ოქტომბრის მერვე წლის თავისთვის.

რევოლიუციონურ სამხედრო საბჭომ გამოსცა ბრძანება ოქტომბრის მე-8 წლის თავისთვის, რომელშიაც ნათქვამია:

„ამხანაგებო წითელარმიელებო, მეთაურებო, კომისრებო და პოლიტმომუშავენო; ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლის თავზე, რომელიც მოცულია ვარამით ამხ. ფრუნზეს დაკარგვის გამო, საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო დარწმუნებულია, რომ თქვენ გაორკეცებთ ენერგიას ლენინის ანდერძების ასასრულებლად.

მის თანამებრძოლ და მოწაფეს ფრუნზეს რევოლიუციონური შეუპოვრობა, სამხედრო საქმენი და შეუდრეკლობა მუშაობაში მაგალითი უნდა გახდეს.

გლოვის ნიშნად ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლის თავზე სამხედრო აღლუმი არ იქნას წარმოებული. ნაწილებმა მონაწილეობა მიიღონ მოქალაქეთა დემონსტრაციებში.

სსრკ-ს რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

უნშლიხტი.

ინგლისი.
ხელფასის დაკლება მოსამსახურეებზე.

ინგლისის მთავრობა იმუშავებს გეგმას სახელმწიფო მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის თანდათანობით დაწევის შესახებ 2 ნახ. პროცენტიდან 15 პროც.-მდე.

ქალაქთა თვითმართველობის არჩევნები ინგლისში.

ქალაქის თვითმართველობების არჩევნებზე მუშათა პარტიამ მოიგო 184 ადგილი, აქედან ლონდონში 87.

ინგლისის კომპარტიის მოწოდება მუშებისადმი.

საბჭოთა ტელეგრაფის საგენტოს კორესპონდენტთან საუბარში მუშათა პარტიის გაზ. „„დეილი ჰერალდი“-ს რედაქტორმა ფაშისტებზე გამოტანილ განაჩენის შესახებ განაცხადა, რომ განზრახულია საპროტესტო მიტინგის მოწვევა რომელზედაც მოთხოვნილ იქნება ამ საქმეზე გამოსული პროკურორის გადაყენება.

კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც მოუწოდებს მუშებს შედგენონ მუშათა თავდაცვის დრუჟინები და დაიცონ მუშათა ორგანიზაციები კაპიტალისტების ძალადობისაგან.

სირიაში ძლიერდება აჯანყება.

აჯანყებულები კარგად არიან შეკავშირებული.

ფრანგებმა დაწვეს აჯანყებულთა რვა სოფელი.

ოსმალეთის გაზეთების ცნობით სირიისა და ლიგანის ბედუინები გამოდიან დრუზებთან ერთად. აჯანყება ღღითიდღე ძლიერდება. აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი იმყოფება დამასკის გარშემო.

—პოლიციამ და სამხედრო ძალებმა დღემდისაც ვერ შეიპყრეს აჯანყების ვერც ერთი ხელმძღვანელი და ვერ აღმოაჩინეს იარაღის საწყობი. აჯანყებულთა რაზმებს გლეხობა ეხმარება.

—ოსმალეთის გაზეთების ცნობით ფრანგებმა დაანგრიეს კიდევ რვა სოფელი დამასკის მიდამოებში.

ᲐᲛᲮ. ᲤᲠᲣᲜᲖᲔᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

თანაგრძნობის დეპეშები.

სსრკ-სა და სრულიად რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსა და ცაკის სახელზე ოთხ ნოემბერს მიღებულ იქნა ასობით დეპეშები გლეხებისაგან, პარტიულ და მუშათა ორგანიზაციებისაგან, საბჭოთა და სახოგადოებრივ დაწესებულებათაგან, კოოპერაციის მომუშავეთაგან, ყაზახთაგან და სხვა, რომლებიც ღრმა მწუხარებასა და თანაგრძნობის გამოსთქვამენ ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

სამხედრო მომუშავეთა კრება ფრუნზეს ხსოვნის საპატივცემოდ

რიკოვისა და მთელი რეგსამხსაბჭოს თანდასწრებით გიმართა მოსკოვის გარნიზონის 6.000 მეთაურის, პოლიტმომუშავის და კურსანტების კრება, რომელსაც დაესწრო აგრეთვე ფრუნზეს დასაფლავებაზე სამხედრო ოლქებიდან ჩამოსული დელეგატები.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსმა ვოროშილოვმა.

შემდეგ ფრუნზეს ხსოვნის საპატივცემოდ და წითელი არმიის ამოცანების შესახებ ილაპარაკა რიკოვმა და სხვებმა.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „მოსკოვის გარნიზონის სამხედრო ნაწილები და სამხედრო სასწავლებლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ფრუნზეს უდროოდ გარდაცვალების გამო. ფიცს ვსდებთ, რომ მეტის ენერგიით ავასრულებთ ფრუნზეს ანდერძებსა და იმ ამოცანებს, რომელიც მან დაიყენა წითელი არმიის წინაშე. ბელადის დაკარგვა მას კიდევ უფრო შეაკავშირებს ფოლადის რიგებში.

მოკვდა ბელადი. საუკუნო ხსოვნა ფრუნზეს! წითელი არმია ცხოვრობს და იზრდება. გაუმარჯოს წითელ არმიას!“

გაფიცვები ვენაში.

3 ნოემბერს გაიფიცა 7.500 პურის მცხობელი. გაფიცვები საგრძნობლად დაეტყო ვენის მოსახლეობის მომარაგებას პურით.

მეორე საგლეხო სესხი.

მეორე საგლეხო სესხზე ხელის მოწერა ლენინგრადში წარმატებით ტარდება. მოწერის დაწყებიდან შემოვიდა 7 მილიონი, რომელისგანც 6 მილიონი მოდის წვრილ ხელის-მომწერლებზე.

სამხედრო საქმე.

ცეცხლის გამჩენი ყუმბარები.

ცოცხალი მიზნების შემუშავრის, და სხვა და სხვა შენობათა და სიმაგრეების განადგურების გარდა, არტილერიის ამოცანაა ხშირად ცეცხლი გაუჩინოს ამა თუ იმ შენობას (უმთავრესად, ხის შენობას).

ამ მიზნისთვის არტილერია ხმარობს ერთგვარ ყუმბარებს, რომლებიც თავიანთი დანიშნულების მიხედვით ასე იწოდებიან: ცეცხლის გამჩენი ყუმბარები.

ცეცხლის გამჩენ ყუმბარების შემადგენლობა რთული არაა. ესაა შრაპნელის ჩვეულებრივი ჭურვა, რომლის მასრაშიაც ტყვიების მაგივრად იმყოფება ადვილად აფეთქებადი და მეტად მწველი შემადგენლობა, ეგრედ წოდებული „ტერმიტი“. „ტერმიტი“ დაიწყებს ანთებას ჯერ კიდევ ყუმბარის გასროლის დროს და აღწევს 2.000 გრადუსამდე.

ასეთი ტემპერატურის გამო ჭურვის კედლები ნელნელა იწყებენ დნობას და გამდნარი „ტერმიტი“ იფანტება გარშემო ჭურვის ფრენის განმავლობაში.

მიზანთან ახლოს, სადაც უნდა დაეშვას ჭურვა, ჭურვაზე გაკეთებული სადისტანციო მილი ფეთქდება და ამ მილის მოქმედებით ცეცხლის გამჩენი ჭურვის გახურებული შემადგენლობა აფეთქდება და ფანტავს მიზნის არეში ჭურვაში დარჩენილ გამდნარ „ტერმიტს“.

ამას გარდა არის კიდევ ცეცხლის გამჩენ ჭურვის ერთი სახე, ეგრედ წოდებული ცეცხლის გამჩენი გრანატა, რომელსაც ავსებენ რამოდენიმე ვაზნით ამნთები ნარევით და გადაასხვენ ერთგვარ ნივთიერებას „ფოსფორს“, რომელიც ჰაერთან შეხებით ინთება (როცა ის მოხდება ჰაერიდან დაუცავ არეში). ვაზნებით დატენილი ეს ჭურვები ამაფეთქებელის მოქმედებით სკდება და ფოსფორს ჰაერთან შეერთებით ცეცხლი უჩნდება; ამიტომ აინთება ვაზნები, შემდეგ შემადგენლობაც, რომელიც ვაზნებში იმყოფება, შემდეგ ვაზნები ცეცხლს უჩენს მიზანსაც.

ცეცხლის გამჩენი ჭურვები მეტ ნაწილად იხმარება იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა საწყობების, სხვა და სხვა შენობების, შტაბების და ცენტრალურ დაწესებულების ცეცხლის გაჩენა, სადაც უმთავრესად იმყოფება მტრის სამმართველო და ხელმძღვანელი ცენტრი. ხის ნაშენთა ცეცხლის გაჩენა (როგორც მაგ. ხიდი), როცა მათ ახლოს შეუძლებელია მისვლა, ეს არის არტილერიის საქმე, რომელიც ასრულებს ამ ამოცანას ცეცხლის გამჩენ ჭურვების საშუალებით.

ი. ბარ.

ᲡᲐᲛᲮᲠᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲓᲒᲕᲔᲣᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ამ ერთი თვის წინად თავიანთ შრომას დაუბრუნდენ წითელი ყაზარმებიდან უვადო შეებულებაში წასული 1902 წელში დაბადებული წითელი არმიელები, რომელთა შორის საგრძნობი იყო კარგად მომზადებულ და გათვითცნობიერებულ სამხკორების რიცხვიც. წითელ არმიის ნაწილებში დარჩა სამხკორთა მცირე რიცხვი, რომლის წინაშე ამ ჟამად წამოკრილია მრავალი საკითხები ახალწვეულთა შორის მუშაობისათვის.

უკვე რამოდენიმე დღეა რაც დაიწყო ახალწვეულთა მოსვლა წითელ ყაზარმებში. სანამ თვით ყაზარმები შეესებოდეს ახალწვეულებით ჩვენი ნაწილების სამხკორ-ორგანიზატორებმა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრებმა აქედანვე უნდა გამოიმუშავონ მომავალი მუშაობის გეგმა ახალწვეულთა შორის სამუშაოდ. გეგმაში ფართოდ უნდა იქნას ნაზა გასმული მუშაობის მხარეები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიუდგე იმ ახალგაზრდობას, რომელიც პირველად მოდის წითელი არმიის რიგებში, როგორ უნდა ჩაბა ის სხვა მუშაობასთან ერთად სამხკორთა და კედლის გაზეთების მუშაობაში და სხ.

ახალწვეულებთან მუშაობა ამ დარგშიდაც დაწყებულ უნდა იქნას თავიდან. ისენი მოვიდენ სოფლებიდან და ქალაქებიდან, რომელთა უმრავლესობამ არ იცის თუ რა არის წითელი არმია, არ იცნობს მის აღმშენებლობას, არ წაუკითხავს სამხედრო გაზეთები, არ იცის და არ უნახავს კედლის გაზეთების გამოცემა ნაწილებში და მათი შინაარსი და სხ. ამის გამო ყოველი სამხკორის მოვალეობა იქნება დაუახლოვდეს კარგათ თითეული ახალწვეულს, კარგათ შეისწავლოს ის, გიგოს ყველა ის საკითხები, რომლებიც აწუხებენ ახალწვეულებს და დაეხმარონ ამ საკითხების მოგვარებაში.

გარდა ამისა თითეული სამხკორის მოვალეობა იქნება გაიცნოს ახალწვეულს წ. ყაზარმის ყოფაცხოვრება, წითელი არმიის აღმშენებლობა, კედლის გაზეთების მუშაობა, კორესპონდენტობის მნიშვნელობა, წაუკითხოს ხმა მაღლა გაზეთები და სხ. ამასთანავე ერთად უნდა მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები, რომ ყაზარმებში მოსული ახალწვეულები დაგნსაკუთრებით კი ყოფილი სოფლკორები, გლეხკორები, ახკორები, მუშკორები და სხ. ჩაიბან ნაწილის სამხკორთა საერთო მუშაობაში და ყველა მიიზიდონ სამხკორთა წრეების მეცადინეობაზე.

ნაწილების კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრებმაც ნაწილის სამხკორებთან ერთად მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მომენტს—ახალწვეულთა მოსვლას ნაწილებში და ფართოდ გაიშუქონ კედლის გაზეთების სპეციალურ ნომრებში ახალწვეულთა მოსვლის ყოველგვარი საკითხები და მომავალი მუშაობის ამოცანები.

სამხკორებო! ამ ჟამად მთელი თქვენი ყურადღება მიაქციეთ ახალწვეულთა შორის თქვენს გეგმიან მუშაობას და მათ ჩაბმას ნაწილის საერთო საქმიანობაში. ემი.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲘᲕᲔᲛᲕᲔᲚᲝᲗ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲒᲐᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲒᲐᲨᲘ.

თანამედროვე სამხედრო ტეხნიკის სწრაფი განვითარების და სამხედრო ამოცანების ფართოპოპულიარიზაციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეთაურთა შემადგენლობის მომზადებას.

ხოლო თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ 1925 წლის გამოცემულ დროებითი საველე წესდების 82 მ., §. ბ, მით უმეტეს ხაზს გაესვამთ მეთაურთა მომზადების მნიშვნელობას.

ხსენებულ მუხლში აღნიშნულია: „ყოველი მეთაური ვალდებულია ბრძოლის შემდეგ გამოარკვიოს—ის ტაქტიკური ილეთები, რომელიც შეისწავლა ნაწილმა, რამდენათ გამოდგნენ ბრძოლაში; გაორკეკეულ ყველა ახლის შესახებ უსათუოდ უნდა იყოს გაგზავნილი დასმენები უფროს-უმცროსობის მიხედვით“, და §. (ბ) ში დამატებულია: „ყოველ მეთაურს მიეცეს უფლება მოახსენოს უმაღლეს სარდლობას, თავისი უშუალო უფროსების საშუალებით, იმ ტაქტიკური ილეთების შეცვლის შესახებ, რომელნიც-არ გამოდგნენ ბრძოლაში გამოყენების დროს“.

საინტერესოა მივიღოთ პასუხი კითხვაზე: მეთაური, რომელსაც არ მიუღია სათანადო მომზადება, შესძლებს თუ არა მიუდგეს ახალ სამხედრო მოვლენას კრიტიკულათ, შეფასებით.

ვფიქრობთ, რომ ვერა.

ეხლა გავარჩიოთ ის მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ნაციონალური ნაწილების მეთაური.

სახალხო სამხედრო კომისარიატის სავალდებულო დადგენილებით, მეთაურთა შემადგენლობის გადატვირთვის გამო, მეთაურთა მეცადინეობა შეზღუდულია კვირაში ერთი საათით. ამით, რასაკვირველია, სიმძიმის ცენტრი გადატანილია თვითმომზადებაზე, მაგრამ ამისათვის უნდა აგრეთვე შეიქმნას სათანადო იდეოლოგია.

მართალია მოსკოვში სამხედრო აზრიანობა სჩქეფს ვით ბაქოს შადრევანი, მაგრამ ეს გამოცემები რუსულ ენაზეა, რაც ქართველი მეთაურისათვის უმეტეს შემთხვევაში ძნელი გამოსაყენებელია.

ნაციონალურ ნაწილების მეთაურთა უმრავლესობამ იმდენათ ცოტათ იციან რუსული ენა, რომ ერთი ფურცლის საკმაო გაგებისათვის მათთვის საჭიროა მთელი საათები და ეს ძვირფერ ანელებს მათ მისწრაფებას. მაშასადამე, საჭიროა ნაციონალური ლიტერატურის შექმნა, რომელიც გააშუქებს სამხედრო ტეხნიკის და ტაქტიკის საკითხებს.

ამ ჟამად ქართულ დივიზიებისათვის გამოდის მხოლოდ ერთი პატარა სამხედრო გაზეთი „წითელი არმიელი“, რომელიც სავსებით და მთლიანად ემსახურება წითელ არმიელთა მასას. ხოლო ჟურნალი „წითელი გუშაგი“ საშუალებათა უქონლობის გამო ულროოთ გარდაიცვალა.

როგორც სჩანს ქართულ წითელ ჯარში თითქმის არავითარი მასალები არ არის თვითმომზადებისათვის.

მგონია, რომ დროებით „წითელი არმიელის“ რედაქცია შესძლებდა, გაზეთის დამატების სახით, ყოველკვირეულის გამოცემას, სამხედრო საკითხების გაშუქებისათვის.

მეორე ზომა რომელიც შეიძლება იყოს მიღებული—ეს დავალება დივიზიების სამხ. სამეცნ. წრეებს, გააცოცხლონ თავისი მუშაობა. რა საშვალებით? უპირველესათ საჭიროა გამოცდილ და სამხედრო სამეცნიერო მუშაობით დაინტერესებულ წევრებისაგან ჯანსაღი ბირთვის შექმნის გზით სვლა. ამ წრეში მუშაობა უნდა იყოს დაწყებული საერთო კრებაზე უახლოეს თვისათვის მუშაობის გეგმის შემუშავებით. რომ წრის სხდომა იყოს უფრო გაცოცხლებული, და მუშაობა უფრო ნაყოფიერი, უნდა იყოს ამორჩეული ისეთი თემები, რომელნიც დაინტერესებენ წრის წევრთა მნიშვნელოვან უმრავლესობას. ასეთი იქნებიან საჭირო-ბოროტო ხასიათის საკითხები ან ის საკითხები, რომელნიც დაკავშირებული არიან მჭიდროთ ნაწილების პრაქტიკულ მუშაობასთან. უკანასკნელ. მეთაურთა შემადგენლობა სგაუადვილებს იმ პრაქტიკულ ამოცანების შესრულებას, რომელნიც წარმოსდგებიან მათ წინაშე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კონკრეტულად. ამ ჟამად ნაწილები ემზადებიან 1903 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის მიღებისათვის: სწარმოებს უკვე მეთაურთა შემადგენლობასთან სანსტრუქტორო მეცადინეობა ამ დროს წრე შეიმუშავებს შემდეგ თემებს: 1. ჯგუფური მეთოდი: 2. მებრძოლის სასროლი მომზადების მეთოდები; 3. სწავლების კომპლექსური სისტემა; 4. აქტიურ-შრომის მეთოდი არმიაში; 5. საბჭოთა შრომის სკოლის პრინციპები. რომ შეტანილი იყოს რამოდენიმე სხვადასხვაობა შეიძლება საერთო თემების შუა გატარებული იყოს მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ: ა) ომი მაროკოში ბ) უზრუნველყოფის პაქტი და გერმანია და სხვ.

ზემოაღნუსხულისაგან სჩანს, რომ თავდაპირველათ მუშაობას ექნება გამოსაყენებელი, უტილიტარული ხასიათი.

მგონია რომ, თუ წრეები თავის მუშაობაში ყურადღებით მოეკიდევიან მიმდინარე მომენტს და დღის წესრიგში შეიტანენ იმ საკითხებს, რომელნიც აინტერესებს ამა თუ იმ მომენტში მეთაურთა შემადგენლობის ფართე წრეებს, მაშინ ისინი შესძლებენ თავიანთ სხდომების გაცოცხლებას და თავიანთ ამხანაგების უმრავლესობის ჩათრევას აქტიურ მუშაობაში. უკვე ამის შემდეგ შეიძლება აგრეთვე გადასვლა სამეცნიერო გამომკვლევ მუშაობაზე.

მე-3 საშუალება. ჩვენს კლუბებს, როგორც ვიცით უპირავთ მიმართულება „წითელ არმიელზე“, ე. ი. აშენებენ თავის მუშაობას, თითქმის გამოუნაკლისათ, წითელარმიელის ინტერესებზე და კითხვებზე. ხოლო მეთაურთა შემადგენლობის ინტერესებს და მისი კულტურულ და ყოფაცხოვრებით საჭიროებებს ჩვენი კლუბები, როგორც ვიცით, სულ არ უშენენ ანგარიშს. მეთაურთა ბასიური დაუკმაყოფილებლობა—ამის შედეგათ უნდა ჩაითვალოს.

ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, არ არის სავსებით ნორმალური. როგორც ლეგიონის კოლექტივის წევრი მეთაური უნდა მომსახურებული იყოს კლუბის მიერ, და მან უნდა მოიპოვოს იქ პასუხი თავის კითხვებზე და საჭიროებაზე ისე, როგორც წითელ არმიელები. მაგალითად, რატომ არ უნდა იყოს მოწყობილი კლუბებთან განსაკუთრებული წრეები საშუალო სკოლის პროგრამით, სადაც შეიძლებოდეს რუსული და უცხო ენების, ქიმიის, ფიზიკის და მათემათიკის საჭირო სამხედრო საქმისათვის განყოფილებების შესწავლა. მეთაური ხომ ვერ შესძლებს თავისი მცირე ბიუჯეტით დაკმაყოფილოს თავისი პოლიტ-ეკონომიური, მეცნიერული და ტეხნიკური საკითხები.

ჩვენ მიერ გამოთქმული აზრები გამოწვეული არიან საველე წესდების ზემოხსენებულ მუხლით, და მგონია, რომ ის პირები, რომელნიც ვალდებულნი არიან იზრუნონ მეთაურთა შემადგენლობის მომზადების შესახებ, ანგარიშს გაუწევენ ამ წესდების მოთხოვნილებას და გაიჩადენენ ცოცხალ მუშაობას, რათა ამით ხელი შეუწყონ მეთაურების სამხედრო მომზადების გაფართოვებას.

ა. ᲒᲝᲓᲔᲒᲐᲜᲨᲕᲘᲚᲘ.

რედაქციის შენიშვნა: უშვებთ მსჯელობის წესით. ზოგიერთ დებულებაში რედაქცია ავტორს არ ეთანხმება.

სამხკორო, მოიწერე ახალგვეულის მოსვლის შესახებ

ბრძანება

მე-2 ქართულ ტერ. ნსროლელ დივიზიისადმი.

№ 155

4 ნოემბერი 25 წ. ქალ. ტფილისი.

მე-4 ლეგიონის თავმა მომახსენა, რომ ახალქალაქის და შორაპნის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტები და პარტკომები უცხოველეს მონაწილეობას იღებენ ტერიტორიალურ აღმშენებლობის საქმეში; იქ მდგომ ჯარის ნაწილებს უჩენენ ყოველგვარ დახმარებას, და შეთანხმებით მუშაობენ ნაწილების მეთაურებთან ტერიტორიალურ ჯარის აღორძინება-განმტკიცებისათვის.

ამ დიდ საქმისადმი ასეთ სამაგალითო მოპყრობისათვის, შორაპნის და ახალქალაქის მაზრების აღმასკომებს და პარტკომებს ვუძღვნი ჩემს გულითად მადლობას და ვიმედოვნებ, რომ მომავალშიდაც განაგრძობენ აგრეთვე თავიანთ ნაყოფიერ მუშაობას.

დივიზიის უფროსი და სამხკომი
ალნიაშვილი.

შტაბის უფროსი გედევანიშვილი.

ჩვენც კარგად მოვეფყვეთ.

4-ე ლეგიონის 7-ე ასეული.

დამთავრდა თუ არა ტერ ფლად.

შეკრება და დაუბრუნდით ჩვენ ძველი საცხოვრებელ ადგილს, გაჩადდა მუშაობა ასეულის სათანადოთ მოსაწყობათ. როგორც უფ-პოლიტშემადგენლობა ისე ყველა წითელ-არმიელები ჩაბმულ იქნენ ასეულის საქმიანობაში საერთო ძალით დამაკმაყოფილებლად იქნა მოწყობილი ასეულის ბინები, სამზარეულო, სამკითხველო და სასადილო. ამ ხნის განმავლობაში წ. აზარმაში ჩვენ ბევრი რამ შეგიძინეთ თეორიულად და ყოველივეს ახლა პრაქტიკულად გავდიგართ. ვიწვევთ პოლიტსაათზე სოფლის კრებებს სადაც რომელიმე თემაზე მოხსენებით გამოდის წითელი არმიელი, ვეჩვევით პრაქტიკულად თემადმასკომის არჩევნების წესებს და ყოველივე იმას რაც კი დაგვჭირდება სოფლებში მეტ ცოდნას და გამოცდილებას გადავსცემთ ჩვენს მოძმე გლეხებს.

ჩვენ არ დაგვავიწყდება აგრეთვე ჩვენი აღმბრდელი წითელი აზარმა, თუ დადგება წუთები, როდესაც საჭირონი შევიქნებით მშრომელთა ხელისუფლების დასაცავად ერთხმად დავდგებით წითელი არმიის რიგებში, რომ სასიკეთილო ლხენა ჩავსცეთ იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ აიღებს იარაღს.

სამხკორი ს. ძიროვნელი.

ჩვენს ლენინის კუთხეში.

მე-4 ლეგ. მე-6 ასეული.

ასეულში მოწყობილი გვაქვს ლენინის კუთხე, რომელშიდაც მრავალად მოიპოვება ყოველგვარი ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები. კუთხეში ჩამოყალიბებულია ბირთვი, რომელიც ყოველ საღამოს აწარმოებს ხმამაღალ კითხვას და სხვა და სხვა ხასიათის საუბრებს. კითხვისა და საუბრების დროს თითქმის ყოველთვის გვესწრება პოლიტელი, რომელიც გაუგებარ სიტყვებს აქ უმთავრეს ხელმძღვანელობას გვიწევს პოლიტხელი, უმთავრესათ კი სათანადო მასალებს გვაწვდის ჩვენი ბიბლიოთეკა სადაც მრავალი წიგნები მოიპოვება. სამხედრო მეცადინეობაც სისტემატიურად სწარმოებს.

ყოველ მხრივ მოწყობილი და დალაგებული ვართ. ახალ უმთავრესი ჩვენი საქმიანობა საზამთრო შუშის შეძენაა, რომელიც მოგვაქვს მახლობელ ტყიდან. ორი-სამი დღის განმავლობაში ჩვენ სრულიად მზად ვიქნებით.

სწარმოებს ახალ წვეულების შესახებ ვედგმების გამომუშავება, გამოყოფილია ამ ხასიათის რომლებსაც დავალებული აქვთ ახალწვეულებში მოსვლისთანავე მუშაობა.

სამხკორი გრ. რობაქიძე.

არ გვავიწყდება ჩვენი მოვალეობა.

1924 წ. მაისში გამოწვეულთა მეორე რიგი უკვე გავეშურეთ სოფლებისაკენ გრძელ ვადიან შვებულებაში.

უბრუნდებით ჩვენ ძველ კერას, მაგრამ ამასთანავე ერთად არ გვავიწყდება ჩვენი მოვალეობა. სოფლად დაბრუნებისათანავე წინ გვიძევს იმ მრავალი საქმეების მოგვარება, რომელიც ასე ესაჭიროება განახლების გზაზე შემდგარ სოფელს. ჩვენ მთელი ჩვენის ენერგიით შეუდგებით მუშაობას და წითელ აზარმაში მიღებულ მთელ ცოდნას და გამოცდილებას გადავსცემთ ჩვენს

ამხ. მ. ვ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

ვ-მე ლეგ. სკოლა გლოვობს ამხ. ფრუნზეს დაკარგვას.

მშრომელმა ხალხმა მრავალი საუკეთესო მსხვერპლი გიიღო თავის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში. მრავალი დაღვლილავი გმირები შეიწირა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარმა, მუშათა კლასის რიგებს კიდევ მოულოდნელად გამოაკლდა დიდი ხელმძღვანელი და რევოლიუციონერ ბრძოლაში დაღვლილავი გმირი ამხ. ფრუნზე.

მშრომელთა განთავისუფლების მერვე წლის თავზე აღარ გვყავს, წითელი არმიის ნიჭიერი ხელმძღვანელი და დიდი ბელადი. 8 წლის თავზე წითელი არმია გლოვობს თავისი ბელადის დაკარგვას. ვ-მე ლეგიონის სკოლაც უერთდება ამ საერთო მწუხარებას. ჩვენ გვწამს, რომ წითელი არმია, რომელშიდაც მუდამ იცოცხლებს ამხ. ფრუნზეს იდეა, შესძლებს განახორციელოს ის დიდი დავალებები, რომლის ხორცის შესხმისთვის დაუღალავ მუშაობას შესწირა ბელადმა თავისაბოლოო კავშირის მეთელ წითელ ძხედრობასთან ერთად ჩვენი სკოლაც სდებს მტკიცე ფიცს ბელადის ხსოვნის წინაშე, რომ ერთ წუთსაც არ დავივიწყებთ მის იდეებს და უკანასკნელ ცნობიერებამდე ვიბრძოლებთ მსოფლიო მუშათა კლასის განსათავისუფლებლად.

სამხკორი ნ. კალანდაძე.

დიდი ბელადის ხსოვნა უკვდავი იქნება ჩვენში.

4-ხე ლეგ. 9-რე ასეული

2 ნოემბერს საღამოს ცნობის მიღებისთანავე შესდგა ასეულისა და ადგილობრივი პარტიისა და კომკავშირეულებთან გაერთიანებული სამგლოვიარო კრება წითელი არმიის ბელადის ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო. სამგლოვიარო სიტყვით გამოვიდა ამხ. კაპარავა, რომელმაც აღნიშნა თუ რა დიდი ზიანი მიადგა წითელ არმიასა და კომუნისტურ პარტიას ძველი ლენინური გვარდიელის ამხ. ფრუნზეს დაკარგვით. შემდეგ დაწვრილებით გაგვაცნო ამხ. ბიოგრაფია, მისი გმირობა სამოქალაქო ომში და წითელი კომანდირის შეუდარებელი სამხედრო ნიჭი. მოხსენების შემდეგ ამხანაგის ხსოვნის პატივსაცემლად იმღერეს სამგლოვიარო ჰიმნი. სიტყვა შემდეგ გადათარგმნილი იქნა რუსულ ენაზე. სიტყვებით გამოვიდენ აგრეთვე სომხურად. პოლოს გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც ერთხმად ფიცი დადებული, რომ ძირს არ დაუშვებენ იმ დროშას, რომლის გამარჯვებამდე მისტანათ თავი შესწირა დიდმა ბელადმა.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

ამხ. ამხ. სამხკორებო, მოგვაწოდეთ წერილები თქვენი ნაწილების ცხოვრებიდან.

საშეფო სოფელში.

5-ე ლეგიონი.

25 ოქტომბერს ჩვენი ლეგიონის მთელი შემადგენლობა გიმგზავრა მუსიკით საშეფო სოფელ-მესხეთში. ადგილობრივი მცხოვრებლები დიდი გახარებული შამოგვეგებენ. გავმართეთ საუბრები გლეხებთან სხვა და სხვა საკითხებზე გაიმართა ცეკვა თამაში და საერთო მხიარულება. საღამოზე სოფელში გავმართეთ წარმოდგენა და შემდეგ ნაჩვენები იქნა ფილმები კინო სურათები. საღამოზე განუწყვეტლივ უკრავდა სამხედრო ორკესტრი.

ლეგიონის შემადგენლობამ ერთხმად გამოსთქვა სურვილი ყოველგვარი დახმარება გაუწიოს სოფელს და ამ მხრივ ყოველ საშუალებებს მიმართავს. უწყობთ სოფელს ქოხსამკითხველოს და ვსცდილობთ დავიტიროთ მათთან ცოცხალი კავშირი.

სამხკორი ვართანოვი.

სამზადისი ახალ წვეულთა შესახვედრათ.

5-ე ლეგიონი.

მოახლოდა დრო 1903 კარანტინები, აზარმები და ლენკუთხები გალამაზებულ იქნა პლაკატ-ლოზუნგებით; კლუბი და ბიბლიოთეკაც სათანადოთ იქნა მოწყობილი. ჩვენი ლეგიონი ღირსეულად ხვდება ახალწვეულებს.

სამხკორი ს. ვართანოვი.

მოუთმენლად მოველით ახალწვეულებს.

1-ლი ლეგიონის ბატარეია.

ახალწვეულების მოსვლისთვის დავაჩქარეთ ბატარეიაში ლენინის კუთხის მოწყობა, რომელიც ყოველმხრივად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს. შევიძინეთ საჭირო ლიტერატურა, პლაკატები, ლოზუნგები, რომლებიც შესაფერ ელფერს ატარებენ. ლენინის კუთხეში მოწყობილი გვაქვს სამხედრო კუთხეც. გვაქვს მრავალი სხვა და სხვა სახისა და ტიპის იარაღები, რომლებსაც დაწვრილებით გავაცნობთ ახლად მოსულებს. ყველა წითელ არმიელები ცდილობენ შესაფერად მოემზადონ და გაუწიონ ახალწვეულებს ხელმძღვანელობა. ამ მიზნით ისინი ხშირად იძღვევიან შეკითხვებს და ღებულობენ სათანადო განმარტებებს.

სამხკორი ჭალისხეველი.

რად ჩამოგვართვეს საზამთროგლუზები?

3-მე ლეგიონი.

3-მე ლეგიონის წითელ არმიელებს ამ ზამთრის პირას ჩამოგვართვეს საზამთრო ხალათები და დაგვირიგეს საზაფხულო ცივი ხალათები. ამის გამო ზოგიერთი ამხანაგები დავადმყოფდენ და სხვასაც ასეთი ბედი მოელის. ამას გარდა ისე დაგვიცდა ფეხსაცმელები რომ ზედ არ შეეხედება. არავინ ყურადღებას არ გვაქცევს, რომ შეაკეთებიან ჩვენი დაცვეთილი ფეხსაცმელები.

მოგვეცით საზამთრო ხალათები. მოგვაქციეთ ყურადღება.

წ. არმ. ფიფო ბიკაშვილი.

პარტიული ცხოვრება

მე-4 ლეგიონი.

ლეგიონში საერთო შეკრების დამთავრების შემდეგ ჩამოყალიბდა ორი კომუჯრედი, რომელთა გაერთიანებული კრება მოხდა 30 ოქტომბერს. კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენებები, შვებულ არმიელის სოფლად მოვალეობისა და ახკომკავშირის შვიდი წლის თავის გამო. სოფლად შვებულ წითელ არმიელის მოვალეობა ფართოდ იქნა გაშუქებული ამხ. ტაბუცაძის მიერ. ის შეეხო თუ როგორ უნდა მიიღონ ამხ. მონაწილეობა სოფლის საღმშენებლო მუშაობაში, რას უნდა მიაქციონ უმთავრესი ყურადღება და მრავალი სხვა. მოხსენებამ მრავალი შეკითხვები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია.

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენება ახკომკავშირის შვიდი წლის თავის შესახებ. კრებამ ერთხმად გამოიტანა შესაფერი მიღოცვა.

მომდინარე საკითხებში, განხილული იქნა ერთი ამხანაგის განცხადება პარტკანდიდატად მიღების შესახებ.

სამხკორი სან-მანი.

4-ე ლეგიონის 7-ე ასეული.

საერთო ტერშეკრების დამთავრების შემდეგ ჩვენი ლეგიონის ყველა ასეულები დაუბრუნდნენ თავიანთ მუდმივ ადგილებს. ჩვენმა ასეულმაც დაიკავა თავისი ძველი ადგილი. ამუშავდა ჩვენი კომუჯრედიც. კვირაში ერთხელ სისტემატიურად ხდება კრება, სადაც იკრება ფრიად საინტერესო საკითხები, უმთავრესად სოფლად მუშაობაზე.

18 ოქტომბერს შესდგა ჩვეულებრივი მორიგი კრება, სადაც დღიურ წესრიგში იდგა სამი უმთავრესი საკითხი: 1) ოვადო შვებულებაში მიმავალ პარტ ამხანაგების ამოცანები სოფლად. 2) კომუჯრედის მომავალი მუშაობა და 3) სარაიონო კონფერენციაზე დელეგატების არჩევა.

1-ლი საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ათასეულის პოლიტხელმა. მან აღნიშნა ჩვენი სოფლის მდგომარეობა, მათი გაპირვება და ხელისუფლების მიერ სოფლის ასაღორძინებლად ჩ გასაჯანსაღებლად ზომების მიღება, მოუწოდა ამხანაგებს, თუ როგორ უნდა მიუდგენ გლეხებს სოფლად და როგორი მუშაობა აწარმოვონ მათ შორის, გამოტანილი იქნა შესაფერისი რეზოლიუცია, სადაც ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ ყოველივე იმას რაც კი შეეძინეთ წითელ აზარმაში ერთსულოვნად გადავიტანთ სოფლად და გავდრმავებთ მუშაობას კულტურულ პოლიტიკურ ფრონტზე.

2-ე საკითხის ირგვლივ იმავე მომხსენებელმა კრებას გააცნო მომავალი მუშაობის გეგმა, სადაც უმთავრესად მიზნად აქვს დასახული ჩვენ კომუჯრედს სოფლის გასამხედროება და სოფლის ქალაქთან დაახლოვება. მომავალი მუშაობის გეგმა ცოტა შესწორებით იქნა დამტკიცებული.

3-ე სარაიონო კონფერენციაზე დასასწრებლად იქნა არჩეული სამი დელეგატი.

პარტკორი გ. რ—ქიძე.

რადიო-დეპეშები
აფხაზეთის ცაკის სესია.

გაიხსნა აფხაზეთის ცაკის სესია.

საბჭოთა კავშირის სახელით სესიას მიესალმა სმიდოვიჩი, რომელმაც განაცხადა:

„რამდენადაც უფრო მტკიცდება მშრომელთა ხელისუფლება რესპუბლიკებში, იმდენად უფრო ძლიერი ხდება საბჭოთა კავშირი.

ჩვენი წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეგნებულად მოეპყრობიან მშრომელები საერთო საქმეს.

მე ვფიქრობ, რომ ჭკითხო აფხაზ გლეხს, როდის სჯობდა—ეხლა თუ წინად, ის გიპასუხებს: წინადო. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ მას არ ესმის რა მოგველის მომავალში და ასეთი განწყობილება შესაძლებელია. ჩვენ ეს-ესაა საძარკველს ვყრით. ჩვენი სახლი მზად არაა, ჩვენ კიდევ არ დაგვიმთავრებია აღმშენებლობის გვირგვინით ჩვენი ახალი ცხოვრება.

მეტი რწმენა ჩვენი მიზნებისადმი, მეტი სურვილი წინსვლისადმი მშრომელთა საკეთილდღეოდ“.

წითელ არმიელთა წერილებიდან.

პურს გვაკლებენ.

1-ლი საკავშირო ასეული.

რაც რომ ახალ ბინაზე გადავედით, მას შემდეგ ჩვენი მეკუჭნავის შემცვლელი არ გვირგებებს იმდენ პურს რამდენიც გვეკუთვნის. წითელ არმიელები ხშირად საყვედურებს გამოსთქვამენ ამის გამო—პური ხშირად აღარ ყოფნით მათ.

როდესაც შეეკითხებიან ამის შესახებ, ის თავს იმართლებს, რომ სასწორი არა მაქვსო. საჭიროა დროზე შეიძინონ სასწორი, რომ მიზეზთ აღარ ექნეს მეკუჭნავეს.

სამხკორი მ. ბ.

გაზეთებს გვპარავენ.

მე-5 ლეგ. ცხენოსანი ოცეული.

ჩვენი ოცეულის არმიელები, ყველა ძველი არმიელებია, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთ მათგანს აქამდე ვერ შეუგნაია გაზეთის მნიშვნელობა. მოვა თუ არა ახალი გაზეთები სამკითხველოში, რამოდენიმე წუთის შემდეგ ვეღარ ვხედავთ თავის ადგილზე. გაზეთები სადღაც ჰქრება. ზოგიერთი ამხანაგები დასტაცებენ ხელს და მიაქვთ. გაზეთის წაკითხვის მსურველები კი იძულებული ვხდებით სხვა ნაწილიდან ვინათხოვროთ გაზეთები. დროა ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას და მიეცეთ ამ ამხანაგებს საჭირო გაფრთხილება.

წ. არმ. **მკითხველი.**

მოგვეცით სპორტხელმძღვანელი.

სამხედრო პოლიტსკოლა.

ბინაკში ყოფნის დროს სკოლას არ ყოლია სპორტხელმძღვანელი. მიუხედავად იმისა, რომ კურსანტები ძლიერ მოწდომებული იყვნენ სასპორტო მეცადინეობისათვის, ხელმძღვანელი მაინც ვერ იშოვეს. შემდეგ მიემართეთ რუსულ სამხედრო პოლიტსკოლის სპორტხელმძღვანელს, ემცადინებია ჩვენთან. ერთი სამჯერ კი ჩაატარა მეცადინეობა, მაგრამ შემდეგ აღარ მოსულა. სკოლის ხელმძღვანელები გვპირდებოდნენ, რომ თბილისში ჩასვლის შემდეგ დაგინიშნავთ მასწავლებელსო, მაგრამ აქამდე ამის მსგავსი არაფერი მომხდარა ჩვენთან. არც ამჟამად მოსდით ფიქრად ამის შესახებ ვინმემ რამე სთქვას. სპორტიული წრე კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენთვის. საჭიროა ეხლა მაინც შესაფერი ყურადღებით მოეპყრან ამ საქმეს და დაგვინიშნონ სპორტხელმძღვანელი. ამისთვის გამონახული უნდა იქნას რაიმე საშვალება.

ნ. ქვის ჯვარელი.

ახკომკავშირელთა შორის.

მე-3 ლეგიონის მე-6 ჯგუფი.

ლეგიონის ახკომკავშირის მეექვსე ჯგუფის მუშაობა კარგად მიმდინარეობს. ჯგუფის მორიგი კრება იმართება თვეში ერთხელ, რომელსაც პარტიის წევრებსა და ახკომკავშირელების გარდა უპარტიო არმიელებიც ესწრებიან. უპარტიოების ლტოლვა კავშირის რიგებისკენ დიდია. ჯგუფიდან გამოყოფილია რამოდენიმე ამხანაგები, რომლებიც აწარმოებენ მეცადინეობას წითელარმიელებთან, სხვა და სხვა საუბრების სახით. ორი ამხანაგი მიმაგრებულია აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციებზე, რომლებიც მჭიდროდ გვაკავშირებენ მათთან.

ახკორი შაბუ.

მე-2 ლეგიონის მე-2 ათასეულის ახკომკავშირის საზეიმო სხდომა.

29 ოქტომბერს მეორე ლეგიონის მე-2 ათასეულში შესდგა ახკომკავშირის ჯგუფების საზეიმო გაერთიანებული სხდომა კავშირის დაარსებიდან შვიდი წლის თავის შესრულების გამო. საზეიმო სხდომა გახსნა კავშირის ორგანიზატორმა. პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ათასეულის სამხკომმა და წარმომადგენელმა. გაშუქებული იქნა ვრცლად თუ რა როლი ითამაშა რევოლიუციაში ახ. ლ. კომუნისტურმა კავშირმა, როგორ ამოცანებს ასრულებდა ის და როგორი უნდა შეასრულოს მომავალში. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ორგანიზატორი ქერქაძე, რომელიც დაწვრილებით შეეხო კავშირის საქმიანობას სოფლად და ქალაქად, რის შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

სამხკორი **დარჩია.**

ამბები სოფლებიდან

— **იურიდიული დახმარება გლეხებს.** ზესტაფონში, ჩხარში და სახხერეში შორაპნის სამაზრო გლეხკომის მიერ დაარსებულია იურიდიული ბიუროები, სადაც გლეხებს უფასოთ აძლევენ იურიდიულ დახმარებას.

— **საექიმო დახმარება გლეხებს.** ახალქალაქის სამაზრო გლეხკომმა წამლებისა და ექიმების გაგზავნით დახმარება აღმოუჩინა 57 ღარიბ გლეხს.

— **გორის სამაზრო** აღმასკომში შემოდის გლეხების განცხადებები ტირიფონის ველზე გადასახლების შესახებ.

— **სიღნაღის** აღმასკომი აწარმოებს წინასწარ მუშაობას მილიციელთა მოსამზადებელი სკოლის გასახსნელათ. უკვე გამოძებნილია სკოლის შენობა. მეცადინეობას შეუდგებიან 15 ნოემბრიდან.

— **სოფ. კაცხში** და ხარაგოულში (შორ. მაზრა) გლეხკომების მიერ გახსნილია სამეფლოები, სადაც მზადდება მარტივი სასოფლო სამეურნეო იარაღები.

— **სოფელ ველისციხეში** დიდი მოთხოვნილებაა აგურზე და კრამიტზე. ამის გამო ადგილობრივ აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს აგურის ქარხანა.

— **თეატრი ჭიათურაში.** ოქტომბრის დღესასწაულებზე ჭიათურაში მოხდება ახლად აგებულ თეატრის გახსნა.

ახალი ამბები.

— **აგრონომიული დახმარების** აღმოჩენის მიზნით გლეხებისათვის მიწ.-მოქ. კომისარიატს განზრახული აქვს მთელ რესპუბლიკაში მოაწყოს 89 აგრონ. სადგური.

— **სახოფ.-სამეურნეო** კურსებზე გასულ წელს მიწ.-მოქ. კომისარიატის ცნობით უსწავლია 1220 გლეხს.

— **სიკვდილიანობის შემთხვევა.** სოც. დაზღვევის სამმართველოს ცნობით გასულ წელში მომკვდარა 3.944 დაზღვეული.

— **ტელეფონი ოსეთში.** ფოსტა-ტელეგ. კომისარიატმა გადასწყვეტა სანმრეთ ოსეთში მოაწყოს ტელეფონის ქსელი, რისთვისაც განზრახულია დაიხარჯოს 32 ათასი მანეთი.

— **მებამბეობის კურსები.** ა.-კ. მებამბეობის კომიტეტი ახლო მომავალში გახსნის ტფილისში მებამბეობის კურსებს.

— **სამოქალაქო ომში** დაღუპულთა ოჯახების უზრუნველსაყოფათ ა.-კ. შრ. სახ. კომისარიატმა გამოსცა ინსტრუქცია.

— **სტუდენტთა კონფერენცია.** 25 დეკემბრისათვის ტფილისში მოწვეულია პროლეტარულ სტუდენტთა კონფერენცია.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ** ტფილისში ამ ჟამად მუშაობს 20 სალიკვიდაციო სკოლა.

პასუხი შეკითხვებზე

კითხვა. გვეკუთნის თუ არა უვადო შვებულებაში მიმავალ წ. ა. ახალი ფეხსაცმელები ან შეგვიკეთებენ თუ არა ძველებს?

პასუხი. მოგეცემათ ვარგისი ფეხსაცმელები.

კითხვა. 1924 წ. შემოდგომაზე გამოწვეულებთ როდის გაანთავისუფლებენ?

პასუხი. გაწვეულნი 1924 წ. შემოდგომაზე განაგრძობენ სამსახურს ახალ განკარგულებამდე.

კითხვა. ვარ ზედმეტ მსახურათ. მაზარა მივიდე 1924 წ. მაისში. მეკუთვნის თუ არა ახალი?

პასუხი. მაზარას აქვს ორი წლის ტარების ვადა.

კითხვა. მაქვს სახლი, რომელიც მოითხოვს შეკეთებას. ამის საშუალება მე არ მაქვს. შემიძლია თუ არა ვისარგებლო სახელმწიფო ტყით?

წ. ა. ვაშაყმაძე.

პასუხი. თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა 29 ოქტომბრიდან 1924 წ. ხე—ტყის და ტყის მასალა მიეცემათ წ. არმიელებს შეღავათიან 25—75 პროც. დაკლებით, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი უფასოთ.

კითხვა. რამდენი დრო აქვს მაზარას ტარების ვადა?

პასუხი. ორი წელიწადი.

კითხვა. შემიძლია თუ არა როგორც წ. არმიელი ვიარო მუშაკში?

ჩხიკვაძე.

პასუხი. შეგიძლიათ უფროსის ნებართვით და თუ ეს თქვენს სამსახურს არ ავნებს.

კითხვა. ვარ დაბადებული 1905 წ. ვმსახურებ წ. ჯარში უმცროს მეთაურად. საოჯახო ულუფა მეკუთვნის თუ არა?

კა—შვილი.

პასუხი. არა. საოჯახო ულუფა ეკუთვნით ზედმეტ მსახურებს.

კითხვა. რომელი დღე აქვს სამკითხველოს დასასვენებლათ სამხედრო ნაწილში?

პასუხი. კვირაში ერთი დღე გაქვთ დასასვენებლად, და რომელი დღე იქნება მოსახერხებელი ეს თქვენზეა დამოკიდებული.

კითხვა. ჩვენ არ ვღებულობთ სამშაბათობით გაზეთებს, შეგვიძლია თუ არა დავსვენოთ?

ბიბმოუშავი.

პასუხი. შეგიძლიათ.

კითხვა. რამდენი წერილის გაგზავნა შეუძლია წ.ა. თვეში ფოსტით?

პასუხი. თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა 29 ოქტომბრიდან 1924 წ. ყოველ წ. ა. თვეში შეუძლია გგზავნოს სამი დახურული წერილი, თვითეული წონით არა 20 გრამის მეტისა, ან სამი ღია წერილი.

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი ხელსაწყო ზღვის სიღრმეების გასაზომავად.

ინგლისის საზღვაო სამინისტროს სამეცნიერო ტექნიკურმა საზოგადოებამ გააუმჯობესა და შეაგება საყოველთაო ხმარებას ერთგვარი ხელსაწყო, რომელიც ავტომატიურად (თვისით) ზომავს ზღვის სიღრმეს. ხელსაწყოს მოქმედება დამყარებულია ზღვის ფსკერის თვისებაზე, რომელიც უკან აბრუნებს წყალში გავრცელებულ ბგერებს. ეს ხორციელდება შემდეგ ნაირად: გემიდან წყალში ეშვება სიგნალის (ნიშნის) მიმცემი აპარატი, რომელიც გადასცემს პერიოდულად ბგერითი ნიშნებს და ამასთანავე ერთად იქვე იმყოფება მიმღები აპარატი, რომელიც აღნიშნავს ზღვის ფსკერიდან არეკნილ პირველი აპარატის მიერ გადაცემულ ნიშნებს. გემის ბაქანზე კი გამოითვლება აგრეთვე ის დრო, რომელიც გადის ზღვის ფსკერიდან არეკნილ სიგნალის, მიმღები აპარატის აღნიშვნამდე და მაშასადამე ამნაირად შესაძლებელი ხდება გამოიანგარიშონ ზღვის სიღრმე.

ეს პრინციპი ზღვის სიღრმის გაზომვის დიდი ხნიდან არის ცნობილი, მაგრამ ინგლისის საზღვაო სამინისტრომ პირველად შესძლო იმ სიძნელეთა დაძლევა, რომლებიც ხელს უშლიდენ ტექნიკური იარაღების პრაქტიკულად გამოყენებას. ახლად გამოგონებული აპარატი დირს 300 გრ. სტერლინგი (3.000 მანეთამდე) ინგლისური სპეციალური ჟურნალები დიდ მიღწევად სთვლიან აპარატის გამოგონებას.

დასაძინებელი ავტომობილები

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტ. ბაზარზე გამოშვებული იქნა „დასაძინებელი“ ავტომობილის სპეციალური მოდელი. ეს ავტომობილი თავისი გარეგნული შეხედულებით სრულიად არ განირჩევა ჩვეულებრივი ავტომობილისაგან; მას აქვს 4 ხი მგზავრის მოსათავსებლად დახურული დასაჯდომები. ზურგის მისაწოლის უკან გადაწევის შემდეგ ეს დასაჯდომები მშვენივრად შეიძლება გამოიყენებული იქნეს დასაწოლად და დასაძინებლად ორი კაცისთვის. დასაძინებელი ავტომობილები ძლიერ ჩქარა მოიპოვებენ უპირატესობას, რადგანაც ავტომობილებით ხანგრძლივი დიდ და მანძილზე მოგზაურობა ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული ამერიკაში.

ეს ავტომობილები ძლიერ მოხერხებულია აგრეთვე დაჭრილების გადასაყვანადაც, რომელთაც ესეპირობათ ჩქარი დახმარების აღმოჩენა. განზრახულია გამოიყენონ ისინი დაჭრილი ოფიცრების გადასაყვანად.

უგრძესი ტელეგრაფის ხაზი.

მთელ მსოფლიოში უგრძეს ტელეგრაფის ხაზათ ითვლება ამ ჟამად ლივერპულ-თეირანის სატელეგრაფო ხაზი. ეს ხაზი უდრის 6.500 ვერსის სიგრძეს.

მიუხედავად ამ უზარმაზარი მანძილისა, საჭიროა სულ რამოდენიმე წუთი, რომ გადაცემული იქნეს დეპეშა ინგლისიდან სპარსეთის სატახტო ქალაქში.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.